ISSN 1512-1801

ტრენერის როლი სწავლის მოტივაციის ამაღლების პროცესში

ნათელა ბედენაშვილი

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, რიჩარდ ჰოლბრუკის #8

ანოტაცია:

მოტივაცია ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოკვლეული ფაქტორია, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში. მრავალი თეორია ცდილობს, ახსნას მოტივაციის გამომწვევი მიზეზები და გააანალიზოს ის სხვადასხვა ფაქტორთან მიმართებაში. მოტივაციის გამომწვევი ერთი მიზეზის დადგენის შეუძლებლობა ადამიანთა ბუნების მრავალგვაროვნებაშია. ტრენინგის მსმენელები, ისევე როგორც სკოლის მოსწავლეები, სოციალური და კულტურული კონტექსტით, გამოცდილებებით, რწმენით, საჭიროებებით, უნარებით განსხვავდებიან. ეს კი განსაზღვრავს იმ ფაქტორების მრავალსახეობას, რაც მათი მოტივაციის ამაღლებაზე მოქმედებს. მრავალი კვლევით დადასტურებულია, რომ მხოლოდ მაღალი მოტივაციის პირობებშია შესაძლებელი მოსწავლის მიერ მაღალი აკადემიური მოსწრების მიღწევა. შესაბამისად, კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდეთ იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს ის, რაც მოსწავლეს სწავლის მოტივაციას გაუჩენს.

საკვანძო სიტყვები: *მოტივაცია, ტრენერი, მსმენელი, სასწავლო პროცესი.*

უამრავი დისციპლინათშორისი თეორია ცდილობს, ახსნას ის ფაქტორები, რომლებიც მოტივაციის ზრდას იწვევს. აქ რამდენიმე მათგანს შევეხებით. ერთ-ერთი მათგანია ატრიბუციის თეორია, რომელიც ყურადღებას ამახვილებს იმ წარმოდგენებზე, რომლებიც ადამიანებს მაშინ უჩნდებათ, როცა ამა თუ იმ მოვლენას, შედეგს რაიმე კონკრეტულ ფენომენს უკავშირებენ. მაგალითად, გამოცდის ჩაბარება დაკავშირებულია გამართლებასთან, მოსწავლის დაბალი აკადემიური მიღწევები – სიზარმაცესთან… როდესაც ერთი მოსწავლე მეორე მოსწავლის მაღალ აკადემიურ მოსწრებას მის დიდ მცდელობას უკავშირებს, შესაძლოა, ამან მის მოტივაციაზე დადებითად იმოქმედოს. ყველა შემთხვევაში, ეს მოსწავლეებში აღძრავს გარკვეულ ემოციას, რამაც შესაძლოა იმოქმედოს მათ მოტივაციაზე. აკადემიურ კონტექსტში მნიშვნელოვანია, ტრენერმა სწორად წარმართოს მოსწავლის ემოცია, მისი მიღწევა დაუკავშიროს არა იღბალს, არამედ მცდელობას, დაბალი აკადემიური მიღწევა კი კონკრეტული უნარების უქონლობით არ ახსნას.

ატრიბუციის თეორია ხაზს უსვამს ტრენერის მხრიდან მუდმივი უკუკავშირის მიცემას, მიღწევების კონტროლს და მათ სწორ ატრიბუციას. მოლოდინების თეორია მოტივაციის ამაღლების ფაქტორად განსაზღვრავს ტრენერისა და ტრენინგის მონაწილეთა მოლოდინის მნიშვნელობას მათი აკადემიური მიღწევებისათვის. მიზნის მიღწევის თეორია ყურადღებას ამახვილებს ტრენერის მიერ ნათელი და არტიკულირებული მიზნების დასახვაზე, რომლის მიღწევის მოტივაციაც უჩნდება მოსწავლეს. სოციალური დასწავლის თეორიაში მოსწავლე სწავლობს ტრენერზე დაკვირვებით, მის მოტივაციაზე გავლენას ახდენს ტრენერი, როგორც მოდელი, ასევე თანაჯგუფელი და სასწავლო გარემო. მსმენელის მოტივაცია მაღალია თუ მას საკუთარი თავის ეფექტურობის რწმენა აქვს, რომელსაც უვითარებს ტრენერი.

ISSN 1512-1801

ამ და სხვა თეორიებზე დაყრდნობით, უნდა ვაღიაროთ ტრენერის და სასწავლო გარემოს როლი აკადემიური წარმატების მისაღწევად მსმენელების მოტივაციის ჩამოყალიბებაში. მრავალი კვლევა უსვამს ხაზს ტრენერისა და მოსწავლის დამოკიდებულების მნიშვნელობას სასწავლო პროცესში. მსმენელებს, რომლებსაც აქვთ ტრენერის მხარდაჭერის განცდა, უფრო მიდრეკილნი არიან მაღალი აკადემიური მოსწრებისა და წარმატებისკენ; მსმენელები, რომლებსაც მოსწონთ ტრენერი, უფრო კარგად სწავლობენ კონკრეტულ საგანს; მსმენელები, რომლებიც გრძნობენ ტრენერის მხრიდან პატივისცემას, უფრო ჩართულნი არიან სასწავლო პროცესის მსვლელობაში და სხვ.

1.მოსწავლის იგივე მსმენელის ფაქტორი

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ მსმენელები ტრენინგზე მოდიან სხვადასხვა სოციალური თუ კულტურული კონტექსტიდან, მათ აქვთ გარკვეული გამოცდილებები, სურვილები, მოთხოვნები და მოლოდინები.

დასავლური სკოლა განასხვავებს გარეგან და შინაგან მოტივაციებს. მნიშვნელოვანია, გავიაზროთ ორივე ტიპის მოტივაციის როლი და ეფექტი.

გარეგანი მოტივაციის შემთხვევაში მოსწავლე მიმართულია წახალისების მიღებისკენ, შინაგანი მოტივაციის დროს კი წახალისების, აღიარების ფაქტორი მინიმუმამდეა დაყვანილი და ფოკუსი ცნობისმოყვარეობაზე, გამოწვევებზე, სოციალურ ინტერაქციაზეა. მაშინ, როცა სასწავლო პროცესში მოტივაციის ნაკლებობა შეიმჩნევა, აუცილებელია, განისაზღვროს ის სტრატეგიები, რომლებიც მსმენელს შინაგან და გარეგან მოტივაციას აღუძრავს. მათ გარეგან თუ შინაგან მოტივაციაზე გავლენას ახდენს ის სოციალური გარემო, საიდანაც ისინი მოდიან, ასევე – გარემო, სადაც უწევთ ყოფნა; მაგალითად, ის თუ რამდენად ხელმისაწვდომია მათთვის სასწავლო მასალა, სად სწავლობენ, სად მუშაობენ, კონკრეტულ სფეროში დასაქმების სურვილი. მოსწავლის მოტივაციაზე ასევე გავლენას ახდენს ის, თუ რამდენად ჩართულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მსვლელობაში. გრძელვადიანი სასწავლო პროცესის გაცნობამ, მიზნების ნათლად დასახვამ შესაძლოა მოსწავლეებს მნიშვნელოვნად აუმაღლოს მოტივაცია დასახული მიზნის მისაღწევად.

2. ტრენერის ფაქტორი

მსმენელთა მამოტივირებელი შესაძლებელია იყოს ტრენერის მიერ კონკრეტული საგნის მაღალ დონეზე ფლობა. მოსწავლეს აქვს მოლოდინი, რომ საგაკვეთილო პროცესის დროს ის მოისმენს რაღაც ახალს, მიიღებს პასუხს კითხვებზე. ის უნდა ხედავდეს ტრენერის მოტივაციას, გადასცეს მას ახალი ცოდნა.

მსმენელს მოტივაციას აღუძრავს ისეთ სასწავლო პროცესში მონაწილეობა, სადაც ტრენერი იცნობს და პატივს სცემს მას, აფასებს მის ინტერესებს. მოსწავლე სწავლობს უკეთესად, როცა ტრენერი მშვიდად (და არა სტრესულად) წარმართავს სასწავლო პროცესს, იზიარებს მათ შეხედულებებს, არ განასხვავებს დაბალი და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მსმენელებს, არ მიუთითებს შეცდომებზე. ტრენინგის პროცესის წარმართვის დროს სასურველია, ტრენერმა გამოიყენოს სხვადასხვა ტექნიკა: თამაშები, სიტუაციური ანალიზი, იუმორი, სადაც ჩართული იქნება თანაბრად ყველა მსმენელი.

ISSN 1512-1801

ტრენერი მუდამ ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ყურადღების მიპყრობაზე, რაც შესაძლებელია მისი ინტერესების გათვალისწინებით, ცნობისმოყვარეობის გაღვივებით, მისი ძლიერი მხარეების გამოყენებით სასწავლო პროცესში. მათი მოტივირებისთვის აუცილებელია ენთუზიაზმით სავსე ტრენერი.

სპეციალისტთა განმარტებით, მოტივაცია ქცევის ფსიქოლოგიური საფუძველია. რაც მეტად მოტივირებულნი არიან მოსწავლეები, მით მაღალია სწავლის ხარისხი, როდესაც მოტივაცია სუსტია, სწავლის ხარისხიც იკლებს.

არსებობს შინაგანი და გარეგანი მოტივაცია. გარეგანია მოტივაცია, როდესაც მოსწავლე განხორციელებული სასწავლო აქტივობისთვის წახალისებას, ჯილდოს (მაღალ ქულას, ქებას, განსაზღვრული სტატუსის მოპოვებას) მოელის. ამ დროს თვით აქტივობა მისთვის შესაძლოა არ იყოს საინტერესო. შინაგანად მოტივირებული მსმენელებისთვის კი აქტივობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოსალოდნელი ჯილდო.

ტრენერებს გირჩევთ:
1. გაამდიდროთ სასწავლო პროცესი. ამის გაკეთება შესაძლებელია დამატებითი აქტივობებით, მრავალფეროვანი სასწავლო მასალით, სწავლების ახალი მეთოდებითა და სტრატეგიებით. ამგვარად სასწავლო პროცესი მსმენელთათვის უფრო სახალისო და საინტერესო გახდება.
2. ეცადოთ დამსწრეთა გააქტიურებას. ტრენინგის პროცესში აქტიური მონაწილეობა მათთვის გაცილებით ბუნებრივია, ვიდრე წყნარად ჯდომა და მოსმენა. ამისთვის შეგიძლიათ მოაწყოთ დისკუსიები, პრეზენტაციები, როლური თამაშები, და სხვა, თუმცა ყოველივე ამას უნდა შეურჩიოთ სათანადო დრო, თორემ არ ექნება ის ეფექტი, რასაც ელით.
3. გამოიყენოთ სხვადასხვა სირთულის დავალებები. კარგი იქნება, თუ ერთსა და იმავე თემაზე მსმენელებს სხვადასხვა სირთულის აქტივობას შესთავაზებთ. ეს მათი შესაძლებლობების გათვალისწინებასა და მოტივაციის ამაღლებაში დაგეხმარებათ.
4. არასოდეს გააკრიტიკოთ მსმენელი საჯაროდ. საჯარო კრიტიკა ვნებს თვითშეფასებასა და მოტივაციას. გარდა ამისა, ამგვარი მიდგომა მოსწავლეს თქვენს ნდობასა და პატივისცემას დაუკარგავს.
5. ჩართეთ ისინი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ტრენინგის ნორმების, შეფასების კომპონენტების შემუშავებაში, შესასწავლ საკითხთა თანამიმდევრობის დადგენაში მონაწილეობა საგრძნობლად აამაღლებს მათ მოტივაციას და ხელს უწყობს მათი მხრივ ამ შეთანხმების შესრულებას.
6. ყველას შეუძლია, ისწავლოს და მიაღწიოს წარმატებას – სასწავლო პროცესში და მსმენელებთან ურთიერთობისას ტრენერის სწორედ ასეთი დამოკიდებულება უნდა იკვეთებოდეს.

სწავლის მოტივაცია სხვადასხვა კომპონენტისგან შედგება. განვიხილავთ რამდენიმე მნიშვნელოვან შიდაპიროვნულ ფაქტორს, რომლებიც სწავლის მოტივაციას განაპირობებს:

1.ცნობისმოყვარეობა - სწავლა-სწავლება ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც იგი მოსწავლის ინტერესებისკენ არის მიმართული. ტრენერის ერთ-ერთი მთავარი

ISSN 1512-1801

ამოცანაა, მსმენელებს გაუღვიძოს ცნობისმოყვარეობა შესასწავლი საკითხის მიმართ. ცნობისმოყვარეობა შინაგანი მოტივაციის განმაპირობებელი ფაქტორია და, ამდენად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწავლა-სწავლების პროცესში. ის გონებას მიმართავს პასიურობიდან აქტიურობისკენ, ახალი იდეების აღმოჩენისა და ჰიპოთეზების წარმოდგენისკენ, ახალი მოვლენებისა და ფაქტების შემეცნებისკენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცნობისმოყვარეობა მსმენელს კვლევა-ძიებისკენ უბიძებს.

2.თვითრწმენა - თვითრწმენა მნიშვნელოვანი მოტივია სწავლისადმი პოზიტიური განწყობის შესაქმნელად. იმისთვის, რომ მოსწავლე სასწავლო პროცესში აქტიურად ჩაერთოს, ის დარწმუნებული უნდა იყოს საკუთარ შესაძლებლობებში და ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს დასახული მიზნის მიღწევაში.

3. დამოკიდებულება - დამოკიდებულება შეიძლება განიმარტოს როგორც ადამიანის მიერ მოვლენების, ფაქტების, იდეების, პიროვნებების და ა.შ. პოზიტიური ან ნეგატიური შეფასება. ის დამოკიდებულია გარე სამყაროს ინდივიდუალურ აღქმაზე და მომდინარეობს ადამიანის ფიქრებიდან, ემოციებიდან, გრძნობებიდან და გამოცდილებიდან. პირადი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას უმთავრესად ის გარემო, საზოგადოება, რელიგია, კულტურა და ტრადიცია განაპირობებს, რომელშიც ადამიანი იზრდება და ვითარდება.
დამოკიდებულება სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება:

1. აფექტური კომპონენტი მოიცავს ადამიანის ემოციურ რეაქციას კონკრეტული ობიექტების მიმართ. ის გამომდინარეობს ადამიანის ემოციური გამოცდილებიდან. ასეთი დამოკიდებულება ლოგიკური აზროვნების შედეგი კი არ არის, არამედ ადამიანის შინაგანი მიმართებების, გრძნობებისა და განცდების გამოხატულებაა.

2. ქცევითი კომპონენტი კონკრეტულ ქმედებებში აისახება. მოსწავლემ არ იცის, მისაღებია თუ არა მისთვის კონკრეტული ქცევა, სანამ თავად არ გამოსცდის მას პრაქტიკაში. ასეთი დამოკიდებულება უმეტესად საკუთარ ან სხვების ქმედებებზე დაკვირვების შედეგად ყალიბდება.

3. კოგნიტური კომპონენტი ეფუძნება რაციონალურ გამოცდილებასა და ფაქტებს. ასეთი დამოკიდებულება საშუალებას აძლევს ადამიანს, მოვლენები, პიროვნებები, ფაქტები თუ მოსაზრებები შეაფასოს ლოგიკაზე დაყრდნობით, არსებული გამოცდილების საფუძველზე.

როგორ განვსაზღვროთ მოსწავლეთა დამოკიდებულება და როგორ შევუწყოთ ხელი სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას? ამისათვის:

. შექმენით უსაფრთხო სასწავლო გარემო;
. შეიტანეთ ურთიერთობაში მეტი სიცხადე და სიზუსტე;
. გამოიყენეთ ეფექტური კომუნიკაცია, როგორც ნდობის ჩამოყალიბების ინსტრუმენტი;
. მიეცით მსმენელებს აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალება;
. გამოხატეთ პატივისცემა მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და იდეების მიმართ;
. შეეცადეთ განსაზღვროთ, დამოკიდებულების რომელი კომპონენტი უდევს საფუძვლად მოსწავლის შეხედულებას;
. ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან და პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიურად ჩართეთ მოსწავლე სასწავლო პროცესში და დაანახეთ საკუთარი

ISSN 1512-1801

მნიშვნელობა;
. მათ უნდა იმსჯელონ იმის შესახებ, როგორ დაეხმარებათ პოზიტიური დამოკიდებულება სასწავლო ამოცანების დაძლევასა და მათ მომავალ წარმატებაში;
. მათ უნდა იმსჯელონ იმის შესახებ, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ნეგატიურმა დამოკიდებულებამ მათ განვითარებასა და მომავალზე;
. წაახალისეთ ისინი, რათა განუმტკიცდეთ თვითრწმენა.

4. მოთხოვნილებები - მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები შესაძლოა ერთმანეთისგან მეტად განსხვავებული იყოს. ამის შესახებ ყველაზე ცნობილ კლასიფიკაციას ამერიკელი ფსიქოლოგი აბრაჰამ მასლოუ გვთავაზობს. ის ადამიანის მოთხოვნილებათა ხუთ კატეგორიას გამოყოფს: 1. ბიოლოგიური (კვების, წყურვილის დაკმაყოფილების, ძილის…) მოთხოვნილებები; 2. უსაფრთხოების (სტაბილურობის, დაცულობის განცდის…) მოთხოვნილება; 3. კუთვნილებისა და სიყვარულის (ოჯახის, გუნდის, ურთიერთობების, ემპათიის…) მოთხოვნილება; 4. საკუთარი თავის მიმართ პატივისცემისა და აღიარების (ამა თუ იმ სტატუსის ქონის, წარმატების, რეპუტაციის მოპოვების…) მოთხოვნილება; 5. თვითრეალიზაციის მოთხოვნილება.

ტრენერებმა ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისთვის უნდა შეძლოს მოსწავლეთა საჭიროებებისა და მოთხოვნილების დადგენა, განსაზღვროს, იერარქიის რომელ საფეხურზეა მსმენელი და რა მოტივები უდევს საფუძვლად სწავლას. შედეგად მან უნდა შეიმუშაოს ადეკვატური სტრატეგიები, რითაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართვასა და მათი მოტივაციის ამაღლებას. მაგალითად: უცხო ენის სწალებისას მოტივაციის ასამაღლებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს **სასწავლო გარემოს.** ყველაზე არაკეთილმოწყობილი აუდოტორიაც კი შეიძლება მიმზიდველად ვაქციოთ ვიზუალური მასალის საშუალებით. ნებისმიერი ასაკის მსმენელს, განსაკუთრებით კი უმცროსი ასაკისას, ძალიან მოსწონთ ლამაზად გაფორმებული საკლასო ოთახის კედლები. ამისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ილუსტრირებული პლაკატები, სასწავლო ბარათები (flashcards) და ა.შ. ახალი ლექსიკური ერთეულების გაცნობისას მათ ფერად-ფერადი მარკერებით დავწეროთ უცხო სიტყვები მუყაოს ფურცლებზე, რომლებსაც შემდგომ, მათივე დახმარებით, მივამაგრებთ კედლებზე და დაფაზე.

აუდიტორიის მართვა და დისციპლინის შენარჩუნება სწავლების თანმხლები უმნიშვნელოვანესი პროცესია. **მართვა** გულისხმობს ტრენერის ქმედებას, მიმართულს სასწავლო გარემოს შექმნისკენ, ხოლო **დისციპლინა** – ტრენერის ქმედებას,მიმართულს არასასურველი ქცევის აღმოფხვრისკენ ან მინიმუმამდე დაყვანისკენ.

მართვის სამი ძირითადი მოდელი არსებობს. პირველი,**ჰუმანისტური მოდელის** თანახმად, ტრენერმა ხელი უნდა შეუწყოს მსმენელთა სრულფასოვან განვითარებას, შექმნას პოზიტიური გარემო, უზრუნველყოს აუდიტორია საჭირო მასალებით და ნაკლებად ჩაერიოს სწავლის პროცესში. მეორე,**დემოკრატიული მოდელის** თანახმად,ტრენერმა უნდა იპოვოს ბალანსი თავისუფლებასა და შეზღუდვას შორის. მესამე, **ბიჰევიორისტული მოდელის** თანახმად, ტრენერს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია: მან უნდა მართოს მსმენელთა ქცევა დასჯისა და წახალისების სტრატეგიების მეშვეობით.

ISSN 1512-1801

მართვის დემოკრატიული მოდელი აქცენტს აკეთებს მსმენელთა ინდივიდუალობისა და უფლებების გათვალისწინებაზე, მაგრამ, ჰუმანისტური მოდელისგან განსხვავებით, ტრენერს მმართველის როლს აკისრებს. მართვის მოდელი ფსიქოლოგ ალფრედ ადლერის პიროვნების თეორიას ეფუძნება. ამ თეორიის თანახმად, ადამიანის ქცევის მოტივი გარკვეული მიზნის მიღწევაა. ადლერის აზრით, ქცევას საფუძვლად ოთხი ძირითადი მიზანი უდევს, იგივე
ოთხი მოთხოვნილება: ყურადღების ცენტრში ყოფნისა, ძალაუფლების გამოვლენისა, რევანშისა და არაადეკვატურად ქცევისა. მოცემული მიზნები იერარქიულადაა განლაგებული. ჯერ ყურადღების მიქცევას ვცდილობთ, თუ არ გამოუვიდათ, მიმართავენ ძალაუფლების დემონსტრირებას – იწყებენ დაპირისპირებას აღიარებულ ავტორიტეტებთან, ურჩობენ, ჯიუტობენ, კამათობენ, წარუმატებლობის შემთხვევაში გადადიან რევანშზე – აგრესიას ამჟღავნებენ, სხვების დაჩაგვრას იწყებენ ან, პირიქით, გულჩათხრობილები ხდებიან.

მართვის ბიჰევიორისტული მოდელი ქცევის კორექციისკენაა მიმართული, ხოლო მნიშვნელოვანი როლი ტრენერს აკისრია. მოცემული მოდელი ეყრდნობა ბიჰევიორიზმის, ქცევის მეცნიერების თეორიას (წარმომადგენლები - ჯ. უოტსონი, ე. თორნდაიკი, ბ. სკინერი).

მოტივაცია ერთ-ერთი ყველაზე აქტიურად გამოყენებული და მნიშვნელოვანი ტერმინია თანამედროვე პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში. ის მოიცავს მოსწავლის ქმედებისა და ქცევის განმაპირობებელ ფაქტორებს, რომლებიც მას შიდა (ემოციები, გრძნობები, განცდები…) და გარე (გარემო) სტიმულებზე საპასუხო რეაქციისკენ უბიძგებენ. საზოგადოდ, ადამიანის ქმედება უმეტესად მიზნის მიღწევაზეა ორიენტირებული და მას განსაზღვრული მოტივები უდევს საფუძვლად. აქედან გამომდინარე, მოტივაცია შეიძლება განიმარტოს როგორც სასურველი მიზნის მიღწევისკენ მიმართული პროცესი.

პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სწავლის მოტივაციას და მის განმაპირობებელ ფაქტორებს. აღნიშნული საკითხის სიღრმისეულად გააზრება როგორც პედაგოგის, ასევე მოსწავლის მიერ გადამწყვეტ როლს ასრულებს მომავალ წარმატებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თეო ჭყოიძე, რა ფაქტორები უწყობენ ხელს სწავლის მოტივაციის ამაღლებას;
2. თამარ კაციტაძე, როგორ ავიმაღლოთ სწავლის მოტივაცია, 2012წ;
3. ნათია არაბული, მოტივაციის ამაღლების საშუალებები, 2013წ;
4. ირინა აბულაძე, მოტივაცია თეორიასა და პრაქტიკაში, 2014წ;
5. ნინო ლაბარტყავა, კლასის მართვის სტრატეგიები, 2014წ;
6. http://businesscasestudies.co.uk/kelloggs/building-a-better-workplace-through-motivation/introduction.html#axzz33WNqNowe
7. http://personalityspirituality.net/articles/the-hierarchy-of-human-needs-maslows-model-of-motivation/
8. http://kalyan-city.blogspot.com/2010/06/maslow-hierarchy-of-needs-theory-of.html

---

Article received: 2016-09-03